გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 01/02/2019

საქართველოს ფინანსურის მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №1

2019 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №1 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, № 46 და 141 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების N1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები, ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყო-ფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
46	***სახელები:*** 1. ჯალალუდინი (JALALUDDIN) 2. ჰაქანი (HAQQANI) 3. 4. ***დაბ.თარიღი:*** ა) დაახლოებით 1942 ბ) დაახლოებით 1948 ***დაბ.ადგილი:*** ა) გარდა სარაის ზონა, ვაზა ზადრანის რაიონი, პაკტიას პროვინცია, ავღანეთი(Garda Saray area, Waza Zadran District, Paktia Province,	ა) ჯალალუდინ ჰაქანი (Jalaluddin Haqani); ბ) ჯალალუდინ ჰაქანი (Jallalouddin Haqqani); გ) ჯალალუდინ ჰაქანი (Jallalouddine Haqani).	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**31.01.01** (ცვლილებები 03.09.03 18.07.07 21.09.07 27.09.07 01.02.08 31.07.08 03.10.08 29.11.11 11.02.14 30.01.19)	თალიბანის რეჟიმი, სასაზღვრო საქმეთა მინისტრი. სირაჯუდინ ჯალალუდინის ჰაქანის (Sirajuddin Jallaloudine Haqqani), ნასირუდინ ჰაქანისა (Nasiruddin Haqqani) და ბადრუდინ ჰაქანის (Badruddin Haqqani) (გარდაიცვალა) მამა. მოჰამად იბრაჰიმ ომარისა (Mohammad Ibrahim Omari) და ხალილ აჰმედ ჰაქანის (Khalil

	Afghanistan) ბ) ნეკას რაიონი, პაკტიკას პროვინცია, ავღანეთი (Neka District, Paktika Province, Afghanistan). ***<u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u>*** ავღანელი					Ahmed Haqqani) ძმა. წარმოადგენს თალიბანის მოქმედ ლიდერს. სავარაუდოდ, იმყოფება ავღანეთი/პაკისტანის საზღვარზე; 2008 წლის მდგომარეობით, Taliban Miram Shah Shura–ს მეთაური. მიეკუთვნება ზადრანის ტომს (Zadran tribe). გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულია 2018 წლის სექტემბერში.
141	სახელები: 1. ტორეკ (TOREK) **2. აგჰა (**AGHA) 3. 4. დაბ. თარიღი: ა) 1960 ბ)1962 გ) დაახლოებით 1965	ა) საიედ მოჰამედ ჰასან (Sayed Mohammed Hashan) ბ) ტორაკ აგჰა (Torak Agha) გ) ტორიკ აგჰა (Toriq Agha) დ) ტორიკ აგჰა	პასპორტის მონაცემები: პირადი ნომერი: პაკისტანი 5430312277059 თაღლითურად აღებული და შემდეგ პაკისტანის მთავრობის მიერ გაუქმებული	მისამართი: პაშტუნაბადი, ქუეტა, ბალუჩისტანის პროვინცია, პაკისტანი (Pashtunabad, Quetta, Baluchistan Province, Pakistan)	02.11.15 (ცვლილებები 30.01.19)	Gulf-based დონორებისგან ფონდების მოზიდვაში ჩართული თალიბანის სამხედრო საბჭოს წამყვანი მეთაური. ფოტო ხელმისაწვდომია ინტერპოლისა და გაეროს

	დაბ. ადგილი: ა) კანდაჰარის პროვინცია, ავღანეთი (Kandahar province, Afghanistan ბ) პიშინი, ბალუჩისტანის პროვინცია, პაკისტანი (Pishin, Baluchistan Province, Pakistan) ეროვნება/მოქალაქეობა:	საიედ (Toriq Agha Sayed)				უშიშროების საბჭოს სპეციალურ შეტყობინებაში. გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულია 2018 წლის ნოემბერში.